იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჭლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 14 (174)

ივლისი,

1967 წელი



ბორჯომ-პარკი, საბაგირო გზის ქვედა სადგური.

ბიბლიოთეკა

როგორ



სურათზე: რუსთავი, ქიმიური ბოჭკოს ქარხანა.

„სამშობლოს ხმის“ დღევანდელი ანკეტა შედგენილია ოცდაათი სახალხო რჩეულის პასუხებიდან:

1. მ. ამირანაშვილი — თბილისის ოპერის სოლისტი. **2. პ. არევაძე** — ელმავლის მემანქანე. **3. შ. ამირანაშვილი** — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. **4. მ. ვარშალომიძე** — ხელვაჩაურის კოლმეურნეობის მეცხვარესუ. **5. ნ. გოგელაური** — საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. **6. ი. გვრიტიშვილი** — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფიქარი. **7. ა. გიგოშვილი** — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. **8. გ. ძოწენიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. **9. რ. დვალი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. **10. ა. ჯვარიძე** — ახალციხის შახტის მნგრეველი. **11. გ. ჯიბლაძე** — საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი. **12. მ. დავითაშვილი** — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი. **13. რ. ელიგულაშვილი** — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან. **14. ე. კაპანაძე** — თბილისის 62-ე სკოლის მასწავლებელი. **15. ი. კავილაძე** — ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. **16. რ. მეტრეველი** — საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. **17. გ. მჭედლიშვილი** — ქუთაისის № 1 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი. **18. ე. მურღულია** — ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის მუშა. **19. ზ. პატარიძე** — პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი. **20. დ. სტურუა** — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. **21. ნ. სარალიძე** — ქვაბისხევის კოლმეურნეობის მწველავი. **22. მ. საბაშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი. **23. ა. საღირაშვილი** — ყვარლის საბჭოთა მეურნეობის მევენახე. **24. გ. სიხარულიძე** — საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე. **25. ლ. სპამკოჩაშვილი** — დვაბზუს კოლმეურნეობის მეჩაიე. **26. ნ. ტორჩუა** — თხინის კოლმეურნეობის მეჩაიე. **27. ი. ხვედელიანი** — დიმიტროვის სახელობის ქარხნის დირექტორი. **28. გ. ხუნდაძე** — ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის რექტორი. **29. მ. ჩიხლაძე** — ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის გამომჭრელი. **30. ს. შარაძენიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

მცხეთასთან ლეგენდარული ჯვრის მონასტერი აგვირგვინებს ორივე მდინარის შესართავთან მდებარე მთის მწვერვალს. ვერ გაიგებ: შეეზარდა იგი მთის მწვერვალს, თუ ამოვიდა იქიდან — იმდენად სრულყოფილია უცნობი ხუროთმოძღვრის ეს ქმნილება.

სწორედ აქ, არაგვისა და მტკვრის ლაღი დინება ოთხი ათეული წლის წინათ კაშხალმა შეაჩერა. ამუშავდა ელექტროსადგური — ზაჰესი.

დღეს თითქოს საუკუნეთა გადაძახილი, ერთშანეთის გვერდით აღმართულან ჯვარი და ზაჰესი, როგორც წარსულისა და ახალი ცხოვრების ორი სიმბოლო.

დედა-საქართველოს ბედნიერ ცხოვრებაზე მოგვითხრობს დღეს მისი ოცდაათი შვილი — ჩვენი ანკეტა შეავსო რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თითქმის ყოველმა მეათე დეპუტატმა.

1. სახელი, მამის სახელი, გვარი?

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. სოციალური წარმოშობა?

— **ლათინურად** ჩვენს სამშობლოს ეწოდება გეორგია, მიწის მშრომელის სახელის მიხედვით ჩვენი მამა-პაპა მიწაზე იყვნენ მიჯაჭვული ბავშვობიდან ღრმა მოხუცებულობამდე. მთელი თავიანთი სიცოცხლე კავე ან გუთანს მოკიდებულებმა გაატარეს. ჩვენს სოფლებში კავსა და თოხს აღარავინ ხმარობს. ახლა 8 ათასი ტრაქტორი ხნავს ნაყოფიერ ქართულ მიწას. ყოველი ასი კაციდან მხოლოდ 53 შრომობს მიწაზე. დანარჩენები უმთავრესად წარმოებაში მუშაობენ. ჩვენი რუსთავის — რესპუბლიკის მეტალურგიის პირმშოს კადრები ძირითადად სოფლის მოსახლეობიდან არის შექმნილი. ახლანდელი გმირი მეტალურგები ვარდიშ კობერიძე, არჩილ ძამაშვილი, ამირან ფანცულაია და ბევრი სხვა ქარხანაში სოფლიდან მოვიდნენ. მათ აირჩიეს ცხელი პროფესია და მემკვიდრეობითი გახადეს იგი.

ახლა ლათინებს, ალბათ, გაუჭირდებოდათ საქართველოსათვის შესატყვისი სახელი ეწოდებინათ.

3. თქვენი საქმიანობა 1917 წლამდე?

— **ჩვენი** მხარე დასერილია მთებით, კლდეებით, გორაკებით. ადამიანები მიწას ხნავდნენ კლდეებზე და მოჰყავდათ სარჩო. ბუნება არ თმობდა: დროდადრო ნიაღვრები ჩამორეცხავდა ხოლმე გოჯობით დამუშავებულ მიწას. და მაშინ გაპარტახება, სასოწარკვეთილება მიერეკებოდა გლეხებს ჩვენს მარგანეცის შახტებში. მაგრამ შავი ქვის ამოღება სიმინდის მოყვანაზე ადვილი როდი იყო. თითქმის შიშველი ხელებით ვართმევდით მას მთებს. და აი ასე, სახედრებით ვეზიდებოდით ზესტაფონში. ვცხოვრობდით ნახევრად მშიერნი, ღამეს მუდამ როდი ვათევდით ჭერქვეშ...

4. განათლება?

— **ქართველი** როგორც დღეს, ისე შორეულ წარსულში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ცოდნისადმი. 15 საუკუნის წინათ შეიქმნა საწერი ნიშნები, ახლანდელი ათასწლეულის ზღუდეზე გელათისა და იყალთოს აკადემიებში უკვე თარგმნიდნენ ძველი დროის შესანიშნავ ფილოსოფოსებს. რვა საუკუნის წინათ დიდმა შოთამ შექმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, თავის „ვეფხისტყაოსანში“ ხოტბა შეასხა ადამიანის სულის საუკეთესო თვისებებს... მაგრამ დრო სასტიკი იყო.

ჩვენი ანკეტის წევრები ლაპარაკობენ ერთი მედლის ორ მხარეზე — ქართული კულტურის ღრმა ტრადიციებზე და მისი ნამდვილი ხალხურობის სულზე, რომელიც ჩვენს საუკუნეს მოჰყვა. ნახევარი საუკუნის უკან ქართველი მოსახლეობის 78 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დღეს ჩვენს კითხვაზე — „განათლება?“ — ხალხის წარმომადგენლები სრული საფუძვლით გვპასუხებენ: „საყოველთაო-სახალხო!“

— ოდესღაც ილია ჭავჭავაძე თავისი ხალხისათვის 25-30 ინჟინერსა და აგრონომს ნატრობდა. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლებამ მოამზადა 130.000-ზე მეტი სპეციალისტი უმაღლესი განათლებით. მოსახლეობის ათას კაცზე გადაანგარიშებით ეს ოთხჯერ მეტია, ვიდრე ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

5. სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო აღმოჩენები, გამოგონებები?

—**თვით** აკადემიკოსები „ასპირანტურას“ უწოდებენ საბჭოთა სამეცნიერო სკოლის ნახევარსაუკუნოვან პრაქტიკას საქართველოში. ეს ნათქვამია არა მარტო თავმდაბლურად, არამედ გონებამახვილურადაც. Aspirans — ლათინურად სიტყვასიტყვით ნიშნავს — ადამიანს, რომელიც რაღაცას ესწრაფვის. ქართველ მეცნიერთა მისწრაფება მიზანმიმართულიც არის და, ფრიად ნაყოფიერიც.

რას წარმოადგენს ეს „ასპირანტურა“? — მეცნიერებათა აკადემია — ოცდაექვსი წლის სტაჟით და 217 სამეცნიერო დაწესებულება, რომლებშიც 14 ათასზე მეტი თანამშრომელი მუშაობს. მათ შორის 647 მეცნიერებათა დოქტორია, ოთხი ათასზე მეტი კანდიდატი. თვითეულ ამ „ერთეულს“ შეუძლია გვიპატაკოს, თუ თავისი რა არსებით წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერებაში.

ვინ არ იცნობს დრეკადობის თეორიის ავტორს ნ. ი. მუსხელიშვილს და მის სკოლას! ამ მეცნიერის მიერ შემუშავებული მეთოდები დრეკადობის მათემატიკური თეორიის ამოცანათა ამოხსნისა, გავრცელებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

— **რა ტემპებით ვითარდება ჩვენი მეცნიერება?** ავიღოთ თუნდაც ვიწრო სპეციალობა — ნიადაგმცოდნეობა. წინათ საქართველოში მხოლოდ ორი სპეციალისტი — ნიადაგმცოდნე იყო. ამჟამად გვაქვს მთელი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლის შტატში 200 თანამშრომელი ირიცხება. გარდა ამისა, ნიადაგმცოდნეობის განყოფილებები და კათედრებია მთელ რიგ დარგობრივ და სასწავლო ინსტიტუტებში. მრავალი ათეული „მიწის ექიმი“ გულმოდგინედ იცავს კავკასიური ნიადაგების რთული ორგანიზმის ჯანმრთელობას. ექსპერიმენტული ბაზა აღჭურვილია და კვლავაც გრძელდება მისი აღჭურვა უახლესი, მთელ რიგ შემთხვევებში უნიკალური ხელსაწყოებით, აპარატურითა და დანადგარებით, რომლებიც ზოგჯერ შექმნილია თვით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა მიერ. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მძლავრი სამეცნიერო ბაზები, როგორიც არის ატომური რეაქტორი და მის ბაზაზე შექმნილი ლაბორატორიები, კოსმოსური სხივების ფიზიკის შემსწავლელი ცხრაწყაროს ბაზა, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია ყანობალზე, გეოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიები, ობსერვატორია და სადგურების ქსელი, ღრუბლების ფიზიკის და სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების ალაზნის მუდმივი ექსპედიცია, გამოყენებითი მექანიკის და მართვის პროცესების განყოფილების უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, „ჰკვიანი“ მანქანები, რომლებიც შეიქმნა ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში, ბიოლოგიური ბაზა დილომში, ბოტანიკური ბაღების და სტაციონარების ქსელი და სხვ.

— **გამოგონება?** — სასწაულებრივი მანქანა „საქართველო“. — უფრო ხშირად სწორედ ასეთი კილოთი ლაპარაკობდნენ დეპუტატები, მაგრამ აი უფრო ვრცელი განმარტება. — მეჩაეთა შრომა ძალიან მძიმეა. ეს კულტურა ადამიანისაგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ ჩაის კრეფის მექანიზაციის პრობლემის გადაჭრა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უცდიათ. ამაზე ოცნებობდა ნორმერტ ვინერი — თანამედროვე კიბერნეტიკის მამა. ინგლისელმა ჰაროლდ მაბმა ერთხელ თქვა: „ყველაფრის მექანიზაცია შეიძლება, მაგრამ ჩაის კრეფის პროცესისა — არა“. ასეთივე აზრისა იყო თითქმის ყველა მეცნიერი, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ პრობლემასთან. სწორედ რომ თითქმის ყველა! ქართველი კონსტრუქტორები და მეცნიერები სხვა აზრს ადგნენ. და აი მათი ნიჭისა და შეუპოვრობის მეოხებით ამას წინათ შეიქმნა თვითმავალი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, რომელთა შემქმნელებს უკვე მივულოცეთ დამსახურებული ჯილდო — ლენინური პრემია.

6. შრომითი საქმიანობა?

— **მეფოლადე** და მეგენაზე, მწყემსი და ავტომობილმშენებელი, მეტრტრუსე და უზუსტესი ხელსაწყოების შემქმნელი, ქიმიური ქარხნის ოპერატორი და ჩაის მრეფველი, მრთველი და მეშახტე... ალბათ არც არსებობს ისეთი სა[illegible] ქმნებისა, რომლებიც [illegible] ხალხს არ მოეპოვებოდეს [illegible] და შრომისმოყვარეობა. [illegible] ახასიათებს ისე თანაბრად [illegible]

ᲐᲕᲛᲐᲚᲚᲓᲘᲗ...

ღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა, რესპუბლიკა ერთ კვირაში უფრო მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე წინათ საქართველო მთელ წელიწადში უშვებდა.

7. მატერიალური მდგომარეობა?

— **იყო** დრო, როცა გარეგნულად მაშინვე იცნობდით „ჯავახს“, „სვანს“, „კახელს“, „რაჭველს“. ისინი დადიოდნენ ქალამნებით, ტანზე შინ მოქსოვილი ტანსაცმელი ეცვათ. დღეს მოხუცებსაც კი თანამედროვე გარეგნობა აქვთ.

ღრმა პირადულადაც და მოქალაქეობრივადაც ესმით ეს საკითხი ჩვენი ანკეტის მონაწილეებს. მათ აგონდებათ თავიანთი მამა-პაპის ცხოვრება და გუშინდელი დღის შესაძლებლობა. ადარებენ შესაძლებლობებს და მოთხოვნილებებს. ლაპარაკობენ არა მარტო მანეთის და მეტრის ენით, არამედ თავიანთი გრძნობების, დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების ენით. მაგრამ ციფრების მშრალი ენა აქ მაინც ყველაზე მჭევრმეტყველია:

— უკანასკნელ შვიდ წელიწადში მშრომელთა რეალური ხელფასი 17 პროცენტით გაიზარდა. ამ პერიოდში ქალაქად აშენდა 7,3 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სოფლად აშენდა 65 ათასი სახლი. დღეს რესპუბლიკის ყოველ ათი ათას მცხოვრებზე მოდის 35 ექიმი, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებშია — 12, ინგლისში — 11,4, საფრანგეთში — 10,7. მაგრამ ჩვენში მომსახურება ხომ უფასოა!

8. ხელოვნების რა სახეს აძლევთ უპირატესობას?

— **ძალიან** ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, — აღიარებს ბევრი ჩვენი ავტორი, — მგონი, შეუძლებელიც, უპირატესობა მიეცეს მხოლოდ ერთერთ მუზას. ასე მოდის ძველთაგანვე. რა დავასახელოთ პირველ რიგში? ლიტერატურა, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე შეინარჩუნა რუსთაველისა და სხვა დიდი ჰუმანისტების შესანიშნავი ტრადიციები თუ ძველი საგალობლები, რომლებსაც ახლა მეცნიერები აღადგენენ? ჰედვის უნიკალური ხელოვნება, ეს საგალობელი ლითონზე, თუ სახალხო თეატრალური სახეობისა და წარმოდგენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია?..

და მაინც არჩევანი გაკეთებულია! უმრავლესობა ასახელებს მუსიკას, სიმღერას. — თავისუფალ დროს მუსიკას მივმართავთ. გვიყვარს კინო და ქართული ეროვნული მუსიკა, ვოკალური ხელოვნება და ცეკვები, ისინი გადმოგვცემენ მთელს არტისტულობას, ტემპერამენტს, სულს. კარგია აშუღური სიმღერები. საუკუნეთა განმავლობაში მუსიკა, სიმღერა ეხმარებოდა ჩვენს ხალხს შრომაშიც და ბრძოლაშიც. აღმოსავლეთში ერთი ხმით მღერიან, დასავლეთში — ორი ხმით, საქართველოში მღერიან სამი და მეტი ხმით. ეს ჩვენს ხალხურ სიმღერას აძლევს მრავალფეროვნებას, აფართოებს ხატოვნობას, გრძნობათა, განცდათა უფრო ღრმად გადმოცემის შესაძლებლობას.

ქართულმა სიმღერამ აღბეჭდა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხალხის ყოფის ყველა არსებითი მხარე. მის მრავალფეროვნებას ისიც ავსებს, რომ ქართველი ერის თვითეულმა შტომ თავისი განსაკუთრებული მუსიკალური დიალექტი შეიმუშავა.

9. მიხდევთ თუ არა სპორტს?

— **დიახ**, დაბადებიდანვე! შემორჩენილია ცნობები, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 138 წელს რომში მარსის მოედანზე დაიდგა ქართველი რაინდის ფარსმანის ქანდაკება სპორტულ თამაშში მის გამარჯვებათა აღსანიშნავად.

ქართველებმა სპორტული ესტაფეტა საუკუნეების შემდეგ აიტაცეს და თანამედროვე სპორტის მეტ წილ სახეობათა პატივისმცემელნი გახდნენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ქართველმა სპორტსმენებმა უკანასკნელ ოთხ ოლიმპიურ ასპარეზობაში გაცილებით მეტი მედალი და ჩათლის ქულა მოიპოვეს, ვიდრე ბრაზილიის, ესპანეთის, ავსტრიის, არგენტინის, ინდოეთის, მექსიკის, თურქეთის, ირანის სპორტულმა დელეგაციებმა ერთად.

რა თქმა უნდა, ანკეტებში ჯეროვანი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს სპორტულ რაინდებს. მაგრამ მოპასუხენი ყოველთვის განსაკუთრებული სიამაყით წარმოთქვამენ სამი ქალის სახელებს.

— საქართველომ ჰადრაკის „დედოფლების“ სპეციალიზაცია მიიღო და მოგვცა საჭადრაკო ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორიც არიან ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ქალთა შორის ნანა ალექსანდრია და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ციალა კობაიძე.

10. ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ? როდის, სად, რა მიზნით?

ანკეტებში მთელი გვერდები აქვს დათმობილი ამ კითხვას. გვახსენდება გამარჯვების დროშაც დამხობილ რაიხსტაგზე, ჩვენი ალმებიც მსოფლიო შეჯიბრებებზე, საერთაშორისო გამოფენებზე, საქმიანი და ტურისტული მარშრუტები. ავიღოთ სტრიქონები რამდენიმე დამახასიათებელი პასუხიდან:

— მეტალურგთა ჯგუფის შემადგენლობაში ვიმოგზაურე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ შემესწავლა მეტალურგიული წარმოების გამოცდილება.

— ორჯერ ვიყავი პოლონეთსა და რუმინეთში, ვიყავი ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდონეზიაში, საფრანგეთში, ყველგან გასტროლებით.

—სათავეში ვუდექი დელეგაციებს, რომლებიც მეგობრობის და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მისიით იყვნენ ალჟირში, ტუნისში, მაროკოში.

მაგრამ შევწყვიტოთ **ეს** წუსხა მეტად დიდმნიშვნელოვანი რეპლიკით:

— საზღვარგარეთ მოგზაურობენ არა მარტო ჩვენი დელეგატები და ტურისტები, მსახიობები და სპორტსმენები. იქ შეხვდებით სხვაგვარ „თანამემამულეებსაც“. ჩარხებს, მილებს, ფეროშენადნობებს. ჰიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს, მარმარილოს, ცემენტს, სამედიცინო პრეპარატებს, ჩაის, ღვინოებს, თამბაქოს, წყალქვეშაფრთიან კატარღებს...

ასე რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უხდებათ ადამიანებს შეავსონ თავიანთი გეოგრაფიული ცოდნა.

და კიდევ რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დაზუსტება:

— ახლა ჩვენი რესპუბლიკის პროდუქცია მსოფლიოს 66 ქვეყანაში იგზავნება. ექსპორტისათვის მუშაობს უკვე 110-ზე მეტი საწარმო. საექსპორტო მიწოდებათა შარშანდელ მოცულობას გამოხატავს მნიშვნელოვანი ციფრი: 170 მილიონი მანეთი. ზედიზედ უკვე რამდენიმე წელიწადია ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები და ორგანიზაციები მონაწილეობდნენ დაახლოებით 20 საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაში. ერთმა გონებამახვილმა თანამოსაუბრემ კი განაცხადა: „ყური მიგდე, რა საჭიროა საზღვარგარეთ გამგზავრე-

(დასასრული მე-4 გვერდზე).



დედაქალაქის ფოტომატიანე



რუსთაველის პროსპექტის ერთ-ერთი კუთხე წინათ (მარცხნივ) და... ახლა (მარჯვნივ).

ბიბლიოთეკა

რ ო გ ო რ ა ვ მ ა ღ ლ დ ი თ...

(დასასრული).

ბა? მთელი საზღვარგარეთი ჩამოდის ხოლმე ჩვენში!“

11. რა ჯილდოები გაქვთ?

გრანიტის ჯარისკაცი დგას სოფელ რუხის ცენტრში. ყოველ დილით, ჩაის პლანტაციისაკენ რომ მიდის, მონუმენტთან ჩერდება ქალიშვილი. ჯარისკაცი კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის გმირი გრიგოლ სხულუხია.

ათას ცხრაას ორმოცდაორ წელს მამაცი მზვერავის ამბავი ბევრმა შეიტყო: გრიგოლ ჰიტლერელებმა შეიპყრეს, იგი გახურებული შანთით აწამეს, მკერდზე ვარსკვლავი ამოსჭრეს და ცოცხლივ დაწვეს კოცონზე.

ქალიშვილი კი მისი შვილი ვინარია, შრომის გმირი. მამა-შვილი, მხედრული და შრომითი გმირობისათვის უმაღლესი ჯილდოებით დაჯილდოებულნი.

მთელი რესპუბლიკური ოჯახი რომ ავიღოთ?

— სამშობლომ ოქროს ვარსკვლავებით აღნიშნა 127 საბჭოთა კავშირის გმირი და 1.206 შრომის გმირი. და კიდევ 460.228 კაცი ატარებს თავის მკერდზე საბჭოთა კავშირის ორდენებსა და მედლებს. გარდა ამისა, ორდენებით დაჯილდოებულია ოცი კოლექტივი — საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამრეწველო საწარმოები, კულტურული დაწესებულებები. თვით რესპუბლიკას კი ორჯერ მიენიჭა ლენინის ორდენი.

12. რას აფასებთ უფრო მეტად თქვენს ხასიათში?

ზოგჯერ ჩვენი თანამოსაუბრენი ამ კითხვას უაღრესად პიროვნულად იღებდნენ. ხოლო თუ ლაპარაკი შეეხებოდა ხალხის სულს, ყველაზე გამომეტყველ ეროვნულ სულს, მაშინ აღარც ეჭვი იყო, არც შეცბუნება. აკადემიკოსიც, კოლმეურნე ქალიც, მინისტრიც, მუშაც ერთსა და იმავე აზრებს, ერთსა და იმავე სახელებს მიმართავენ. მათ მოჰყავთ ციტატები რუსთაველიდან, იხსენებენ თავიანთ წინაპართა ლეგენდებს, თვალს მიაპყრობენ სიმბოლურ ქანდაკებას — „ქართველის დედას“.

— ერთგულება მეგობრობაში — ძველთაგანვე ამ გრძნობით ცოცხლობდა და იზრდებოდა ქართველი ხალხი; სწორედ ეს არის მისი ხასიათის უძვირფასესი თვისება. სამართლიანად არის ნათქვამი ქართველზე: „გული მისცეს გულის წილ“... საჭიროა გავიგოთ, რომ ეს არა მარტო ეპოსია, არა მარტო ზეაწეული სიტყვებია. თითქოს ხელშესახები არ არის ხასიათის თვისება, ისიც მთელი ხალხისა, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს თვისება ყოველდღე იჩენს თავს მრავალ ფაქტში. ჰკითხეთ თქვენს თავს, ძვირფასო მკითხველო, თქვენს მეზობელს, ამხანაგს: რომელმა თქვენგანმა, საქართველოში რომ მოხვდა, არ გაიჩინა იქ ერთგული მეგობრები?

— ხასიათში ყველაზე ფასეული და ძვირფასია მეგობრობა, შეკავშირება, ურთიერთდახმარება შრომის, პირადი ცხოვრების მძიმე წუთში. ეს ჩვენში საუკუნეობით ყალიბდებოდა.

13. ყველაზე შემართებული პროექტი?

უკვე სულ უკანასკნელ მომენტში აღმოვაჩინეთ, რომ სამშობლოზე ამ მრავალხმიანი თხრობის ფინალი დასაწყისთან გვაბრუნებს. ჩვენს წინაშე კვლავ პანორამაა მიწისა, რომელსაც სახეს უცვლიან.

— ენგურჰესის უნიკალური ნაგებობის მშენებლობა! თავისი სიმძლავრით ეს სადგური ამიერკავკასიის ამჟამად მოქმედი ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს გადააჭარბებს.

— ენგურჰესი მართლაც უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. კაშხალი, რომელიც მდინარის კანიონში შენდება, მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი — 270 მეტრი სიმაღლისა იქნება. პროექტი უკანასკნელ ტექნიკურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. გამოყენებულ რომ იქნას ბუნებრივი კლდოვანი ფუძე, რომელსაც დატვირთვა გადაეცემა, თაღოვანი კაშხალი არასიმეტრიული შენდება. ასეთი „შემართებული პროექტისათვის“ საჭირო გახდა ახალ მათემატიკურ განტოლებათა შექმნა, რომელთა ამოხსნა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების დახმარებით ხდება. ენგურის ჰიდროკვანძის საერთო სიმძლავრე მილიონნახევარ კილოვატს გადააჭარბებს.

რა თქმა უნდა, ენგურზე ჯერ ვერ დაინახავთ ისეთ დიდებულ სურათს, როგორსაც მაკეტი წარმოადგენს. მაგრამ გავა სულ ცოტა დრო, და ეს ფანტაზია მკრთალი გახდება ადამიანის ხელისა და ბუნების ამ ქმნილების წინაშე.



სურათზე: ჩაისსაკრეფი მანქანა „საქართველო“ პლანტაციებში.

ქ ა რ თ ვ ე ლ ფ ე ი ქ ა რ თ ა ს ა ქ მ ე ნ ი

დაახლოებით 300 ათასი კაცი შრომობს საქართველოს სამრეწველო საწარმოებში. მაგრამ მეტი წილი ფაბრიკები, ქარხნები და კომბინატები ძირითადად თავმოყრილია მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. ახლა აღებულია სამრეწველო ობიექტების, პირველ რიგში საფეიქრო საწარმოების უფრო ფართო ტერიტორიული განლაგების კურსი, საწარმოთა აგება იმ რაიონებში, რომლებსაც მუშახელის საკმაო ბალანსი აქვთ, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ შრომაში ჩავაბათ 10 ათასზე მეტი კაცი, პირველ რიგში ქალები.

გაანგარიშებამ ცხადყო, რომ ხაშურის რაიონს მუშათა მნიშვნელოვანი რეზერვი ჰყავს. აქ შენდება საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა. 1970 წლისათვის ფაბრიკაში იმუშავებს 2.500 კაცი. ყოველწლიურად 28 მილიონი მანეთის ნაწარმი — ასეთია მისი საპროექტო სიმძლავრე.

მუშების დიდი რეზერვია აგრეთვე სამხრეთ ოსეთში, სხვა სამრეწველო საწარმოებთან ერთად ცხინვალში მალე გაჩნდება სასაცვლე ტრიკოტაჟის ახალი ფაბრიკის კორპუსები.

ახლა რესპუბლიკაში არის 45 საფეიქრო საწარმო, რომლებიც ყოველწლიურად უშვებენ ათეულ მილიონობით მეტრ ქსოვილებს.

კარგად მუშაობს თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი, აცნობეს გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. მისმა კოლექტივმა სხვებზე ადრე გადაჭრა რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები, დადო რა პირდაპირი ხელშეკრულებები სამკერვალო ფაბრიკებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან. კომბინატს ახლა აქვს მტკიცე ბაზა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად. ამ საწარმოს ზოგიერთი ნაწარმი შეესაბამება მსოფლიო სტანდარტის დონეს. მეკამოლეებს ახლა არაფრით არ ჩამორჩება თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი.

გორის ბამბეულის კომბინატი ერთ-ერთი წამყვანია ჩვენს ქვეყანაში. მის პროდუქციაზე ახლა გადიდებული მოთხოვნაა.

ახალ საწარმოთა მშენებლობასთან ერთად მწყობრში დგება დამატებითი სიმძლავრეები არსებულ საწარმოებში. ახალი სიმძლავრეები საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის კამვოლსართავ ფაბრიკაში, რაც გააორკეცებს პროდუქციის გამოშვებას. ცხაკაიას ხალიჩის საქსოვი ფაბრიკა ხუთწლედის დამლევისათვის გამოუშვებს 1,5 მილიონ კვადრატულ მეტრ ხალიჩას — სამჯერ მეტს, ვიდრე ახლა უშვებს.

ჭუთაისის აბრეშუმის კომბინატში შენდება გამოსაყვანი წარმოება.

საქართველოს ფეიქრებმა გადაწყვიტეს გამოუშვან მხოლოდ მაღალი ხარისხის ნაწარმი, აითვისონ ასზე მეტი დასახელების ქსოვილები. ექვსი თვის შედეგები მოწმობენ, რომ ისინი მტკიცედ ასრულებენ დაპირებას.

ი. ამაშუკელი.

მ უ შ ა ო ბ ს „ზ ა რ მ ა ც ი“

არგონი ბერძნულად ნიშნავს ზარმაცს. ასეთი სახელწოდების გაზი არ იღებს მონაწილეობას ქიმიურ რეაქციებში, არ ქმნის შენაერთებს სხვა ელემენტებთან. ამიტომ ამ ბოლო დრომდე იგი სრულიად უსარგებლოდ მიაჩნდათ.

მაგრამ ნოვატორებმა გამოუნახეს სამუშაო „ზარმაცსაც“, რუსთავის ქიმიურ კომბინატში გაზის თვისებებს იყენებენ ფერადი ლითონების შედუღების დროს, რაც უზრუნველყოფს შედუღების შესანიშნავ ხარისხს.

საინტერესოა თვით არგონის მიღების პროცესი. მისი ნედლეულია... ჰაერი.

ბ ი ჭ ვ ი ნ თ ი ს ფ ი ჭ ვ ი

ბიჭვინთის კონცხზე არის ფიჭვნარი — მესამეული პერიოდის უნიკალური ძეგლი. ამ ფიჭვს 15 სანტიმეტრი სიგრძის წიწვი აქვს, იგი სწრაფად იზრდება. 30-40 მეტრი სიმაღლის ფართოვარჯიანი ხეები წელიწადში რამდენიმე ნაზარდს იძლევიან.

ბიჭვინთის ფიჭვნარი ნაკრძალად არის გამოცხადებული.

ა ნ თ რ ო პ ო ნ ი მ თ ა ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

პროფესორ ა. ღლონტის წიგნი — „ქართველური საკუთარი სახელები“ გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ანთროპონიმთა ლექსიკონი პირველად გამოდგს საქართველოში. წიგნში შეგროვებულია ქართველური საკუთარი სახელების უძველესი ფონდი, გაანალიზებულია შესაბამისი ტერმინების სემანტიკა და სტრუქტურა.

ლექსიკონში შევიდა 12 ათასზე მეტი საკუთარი სახელი. მასალები შეგროვებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში: ისტორიულ კოლხეთში, სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, ხევში, რაჭაში, თუშეთში, სადაც განსაკუთრებით რელიეფურად შემონახულია ტრადიციული წარმართული ანთროპონიმები.

გათვალისწინებულია საკუთარი სახელების როგორც ზეპირი, ისე დამწერლობითი ტრადიცია. მასალები ამოკრეფილია ძველი ქართული (VIII-XVIII საუკუნეები) ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდან, სიგელ-გუჯრებიდან, მიმოწერიდან. გამოყენებულია ძველი და ახალი მეტრიკული წიგნების ჩანაწერები, დოკუმენტები, რომლებიც ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივში, აგრეთვე მოსახლეობის აღწერის ცნობები (XIX საუკუნე), 1825-1915 წლების მეტრიკული წიგნები, ხელნაწერები და პუბლიკაციები.

ძირითად სახელებთან ერთად მოყვანილია მათი საალერსო ფორმები, რომელთა გარკვეული ნაწილი შემდეგ საკუთარ სახელებად გადაიქცა. ლექსიკონში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე მეტსახელებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საკუთარი სახელების სისტემას. წიგნში დაბეჭდილია პროფესორ ა. ღლონტის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც განხილულია ანთროპონიმიკის ზოგადი პრობლემები, ქართული ანთროპონიმიკის სემანტიკისა და სტრუქტურის ძირითადი ტიპები, ამგვარი ლექსიკონების შედგენის პრინციპები.

პროფესორ ა. ღლონტის წიგნი ქართული ლინგვისტიკური ლიტერატურისა და ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

საბჭოს ხმა
№ 14, ივლისი, 1967 წ.

სახელოვანი ქართველი მეცნიერები

ჩვენი ფილოლოგიის სიამაყე



ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის უნივერსიტეტის ეზოში საბოლოო სამკვიდრებელი ჰპოვა ქართული კულტურის ამ დიდი ტაძრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ.

კორნელი კეკელიძე ეკუთვნის იმ იშვიათ სწავლულთა რიცხვს, რომელნიც არა მარტო იკვლევენ, არამედ თვით ქმნიან ეროვნული კულტურის ძეგლებს. მის მეცნიერულ მუშაობაში სახელმძღვანელო პრინციპი იყო ჭეშმარიტების ძიება, ის უპირველესად თვით იცავდა იმ პრინციპებს, რომელნიც გარდაცვალების წინ ჩამოუყალიბა თავის მოწაფეებს: იყავით თავგანწირვამდე მოყვარული თქვენი ერისა და სპეციალობის, ერიდეთ სენსაციებს და რეკლამებს, მეცნიერებას ნუ გამოიყენებთ ცრუ-პატრიოტული სპეკულაციისათვის, ბევრი იშრომეთ, შეიძინეთ ბევრი ცოდნა, რადგან ფაქტები საჭიროებენ ღრმა და მოუკერძოებელ ანალიზს. ეს პირველ ყოვლისა ნიშანდობლივი იყო თვით აკადემიკოს კორნელი კეკელიძისათვის.

გასაოცარი შრომისუნარიანობისა და ნიჭის პატრონმა ახალგაზრდობიდანვე მიზნად დაისახა ეროვნული კულტურის დიდი განძის შესწავლა და გამომზეურება, ამიტომაც კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლისას სადიპლომო შრომად მან აირჩია საქართველოს წიგნსაცავებში დაცული ქართული ლიტერატურული ძეგლების შესწავლა. ინტენსიური მუშაობის შედეგად სადიპლომოდ წარადგინა გამოკვლევა, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. კერძოდ, ცნობილი დიდი მეცნიერი პროფესორი ა. დიმიტრევსკი აღტაცებით წერდა: „...კ. ს. კეკელიძის სახით ქართველოლოგია და ჩვენი მეცნიერება იძენენ შრომისმოყვარე და ნიჭიერ მუშაკს“. ასეთი იყო ჭაბუკი კორნელი კეკელიძის მეცნიერული ნათლობა.

დიდი ცოდნითა და მიზნებით აღჭურვილი ახალგაზრდა მეცნიერი სამშობლოსაკენ გამოემგზავრა და საოცარი ენერგიულობით დაიწყო ეროვნული მწერლობის შესწავლა. „ჩვენი მიზანია, — წერდა განსვენებული მეცნიერი, — ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობითს კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს, რომელნიც კულტურტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას, რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში.

კ. კეკელიძის შრომების შედეგად გამდიდრდა მსოფლიო ლიტერატურის, კერძოდ ბერძნული ლიტერატურის, ბიზანტიური პერიოდის ისტორია. საქმე იმაშია, რომ ქართველმა მეცნიერმა მიაკვლია და შეისწავლა მთელი რიგი ბერძნული ძეგლები, რომელთა დედანი დაკარგულია, და მათი აღდგენა და გაცნობა მსოფლიოსათვის შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქართული თარგმანების საშუალებით. კ. კეკელიძის ერთ-ერთმა ასეთმა აღმოჩენამ სენსაცია მოახდინა მეცნიერებაში, რის გამო აკადემიკოსი ლატიშევი წერდა: „კ. კეკელიძეს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი წარმოადგენს თავისებურ აღმოჩენას შუა საუკუნეების ბიზანტიის მწერლობაში“.

აკად. კორნელი კეკელიძის შრომები ნათელს ჰფენენ აგრეთვე ქართულ მწერლობაში ანტიკური გადმონაშთების შესწავლის საქმეს.

ქართველ ხალხს ადრიდანვე ჰქონდა კულტურული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ცივილიზებულ ერებთან, რამაც გამოხატულება ჰპოვა მწერლობაშიც. ამიტომ აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ მისთვის ჩვეული სიღრმითა და გულმოდგინებით შეისწავლა არა მარტო ბერძნული მწერლობა და მასთან დაკავშირებული ლიტერატურული პრობლემები, არამედ აღმოსავლეთის ხალხებთან არსებული ლიტერატურული ურთიერთობაც. განსვენებულმა მკვლევარმა არაერთი უაღრესად მნიშვნელოვანი შრომა უძღვნა ქართულ-არაბულ-სომხურ-აზერბაიჯანულ და სხვა აღმოსავლური ერების ლიტერატურულ ურთიერთობას.

სტუდენტობის წლებიდან ის დიდი გატაცებითა და მისთვის ჩვეული ზღვა პრული ენერგიით მუშაობდა სასულიერო მწერლობაში, ამ სფეროში გამოქვეყნებული მისი შრომები დიდ მოწონებას იმსახურებდა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში და მუდამ მოუთმენლად ელოდნენ მისგან ახალ-ახალ პუბლიკაციებს. სასულიერო მწერლობაში უკვე მსოფლიო მასშტაბის სპეციალისტად აღიარებულმა მეცნიერმა 1924 წელს გამოსცა ქართული ლიტერატურის II ტომი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ საერო მწერლობაა გამოკვლეული. ეს ერთგვარი მოულოდნელობაც იყო იმ დროისათვის, და როგორც აკადემიკოსი ალ. ბარამიძე აღნიშნავს: „ძველ-ქართული საეკლესიო ლიტერატურის სპეციალისტმა მცირეოდენი დროის განმავლობაში მოახერხა მისთვის ჩვეული მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით ამომწურავად შეესწავლა ქართული სულიერი კულტურის ახალი, რთული საფეხური. მან მოგვცა ძველ-ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი და მრავალწახნაგოვანი ისტორიის ერთობლივი შემოქმედებითი პროცესის მეცნიერული ანალიზი“. სასულიერო მწერლობის დიდი სპეციალისტი კ. კეკელიძე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა ქართული საერო მწერლობის სფეროშიც. მას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთაველოლოგიის დარგში.

დიდი წვლილი აქვს შეტანილი კ. კეკელიძეს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაში და ამ ძეგლთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარკვევაში. ასევე ღრმად და საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული კლასიკური და აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობა.

ქართული მწერლობის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გარკვევისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის შესწავლა და ნათელყოფა. ამტომაც კ. კეკელიძემ არაერთი შრომა უძღვნა საქართველოს ისტორიის პრობლემათა გარკვევას.

ფასდაუდებელია აკადემიკოს კეკელიძის ტექსტოლოგიური მოღვაწეობა. მის მიერ გამოცემული ტექსტები გამოირჩევიან ღრმა აკადემიურობით.

ძველ მწერლობაში მომუშავე დიდ ერუდიტ მეცნიერს ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული ფოლკლორისა და ახალი ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

კ. კეკელიძის მიერ გამოცემული ნაშრომები და ტექსტები იმდენად მნიშვნელოვანია როგორც ქართველოლოგიის, ისე მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში, რომ ისინი თარგმნილია ლათინურ, გერმანულ და სხვა ენებზე. თვით კ. კეკელიძემ არაერთი ქართული ძეგლი თარგმნა და გამოაქვეყნა რუსულ ენაზე, რომელთაც დაურთო თავისივე გამოკვლევები.

კ. კეკელიძის ლინგვისტური გამოკვლევები ქართული ენათმეცნიერების დიდი შენაძენია.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო აკად. კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მან თავისი გამოკვლევებით გაამდიდრა მეცნიერების სხვადასხვა სფერო—ისტორიული თუ ენათმეცნიერება, სამართლის ისტორია თუ ფოლკლორისტიკა, საერო ქართული თუ აღმოსავლური მწერლობა, მაგრამ ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერის სტიქია მაინც სასულიერო მწერლობა იყო.

კ. კეკელიძემ მდიდარ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში (რომლებიც იმ დროისათვის არ იყო სათანადოდ აღწუსხული და სისტემაში მოყვანილი) სასულიერო მწერლობის არა ერთ და ორ მეტად საყურადღებო ძეგლს მიაკვლია, დაამუშავა და მეცნიერულად გამოსცა სათანადო გამოკვლევითურთ. მან თვითეული ძეგლის და მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების შესწავლით სისტემაში მოიყვანა და ერთ მთლიან კურსად ჩამოაყალიბა ძველი ქართული მწერლობა.

კ. კეკელიძის ფუნდამენტალური ნაშრომთა წყალობით ნათელი გახდა, რომ სასულიერო მწერლობა გარკვეულ პერიოდში იყო არა მარტო ერთადერთი ფორმა, რომელშიც გამოვლინდა ჩვენი ხალხის კულტურა და მსწრაფებები, არამედ მისმა მაღალმა მხატვრულმა დონემ უდავოდ შეუწყო ხელი ჩვენი მდიდარი კლასიკური ლიტერატურის შექმნას.

კ. კეკელიძემ ერთმა პირველთაგანმა შეძლო ეჩვენებინა უველასათვის, რომ ქართულ ლიტერატურას აქვს არა მარტო ეროვნული მნიშვნელობა, არამედ მსოფლიო რეზონანსიც და იგი დიდად ეხმარება სხვა ხალხთა კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეს. კ. კეკელიძე იყო მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის მსოფლიო შარავანდზე გატანაში. ოქსფორდის უნივერსისტეტის პროფესორი რ. პ. სტივენსონი მართებულად აღნიშნავს, რომ „უველგან, სადაც კი ქართველოლოგიით არიან დაინტერესებული, კორნელი კეკელიძის სახელი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. უველას ფიქრი და სიმპათია, ვინც კი აფასებს იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლის საგანძური კ. კეკელიძის ღვაწლით კარგად გაიცნო მსოფლიომ, მიპყრობილია იმ უნივერსიტეტისადმი, რომლის დაფუძნება და შემდგომი განვითარება მჭიდროდ დაკავშირებულია კ. კეკელიძის სახელთან“.

ეროვნული კულტურის განვითარებას კორნელი კეკელიძემ არა მარტო თავისი შრომებით შეუწყო ხელი, არამედ, აგრეთვე, უანგარო და მრავალწლოვანი დიდი პედაგოგიური მოღვაწეობით. მის მიერ აღზრდილნი არიან საქართველოს სკოლებში და ახალგაზრდობას ესტაფეტად გადასცემენ დიდი პედაგოგისაგან მიღებულ ცოდნასა და სიყვარულს ეროვნული კულტურისას, ხოლო უნივერსიტეტსა და აკადემიის ინსტიტუტებში გაერთიანებული მეცნიერნი გულმოდგინედ აღრმავებენ და აფართოებენ ჩვენი საამაყო მეცნიერის მიერ გაკვალულ გზას.

რ. ბარამიძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ — კორნელი კეკელიძე; ქვემოთ — კორნელი კეკელიძე და კონსტანტინე გამსახურდია.



რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერები

საბჭოთა საქართველო სამართლიანად სარგებლობს სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერის სახელით. უდიდესი საკურორტო სიმდიდრეები, რომლებიც საქართველოს აქვს, წარსულში გამოყენებული არ ყოფილა. რამდენიმე კურორტი — ბორჯომი, გაგრა, სოხუმი, აბასთუმანი მხოლოდ რჩეულთათვის იყო.

უკვე 1921 წლის ზაფხულში მოეწყო კურორტებზე პირველი სამკურნალო სეზონები.

ამავე დროს დიდი მუშაობა გაჩაღდა რესპუბლიკის კლიმატური და ბალნეოლოგიური რესურსების შესასწავლად. დაიწყო ძველი კურორტების რეკონსტრუქცია და ახალი კურორტების შენებლობა, ნამდვილი ჯანმრთელობის კერა — სასახლეების შექმნა.

საქართველოში საკურორტო შენებლობის ფართო გაქანებას ხელი შეუწყო 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ, რომელიც მოითხოვდა „ამიერკავკასიაში საკურორტო საქმის ყოველი ღონისძიებით განვითარების კონკრეტული გეგმის შემუშავებას და ამ მხრივ ამიერკავკასიაში არსებულ უმდიდრეს შესაძლებლობათა გამოყენებას“.

ეს დადგენილება გახდა მუშაობის პროგრამა. ხუთწლედების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალფეროვანი საკურორტო მეურნეობა. მის ტერიტორიაზე გამოვლინდა ათასზე მეტი მინერალური წყარო, რომლებიც გამოირჩევიან წყლის ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობის დიდი მრავალფეროვნებით. ბევრი მათგანის ბაზაზე შეიქმნა პირველხარისხოვანი კურორტები შესანიშნავი სანატორიუმებით, დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, სასტუმროებით.

ხუთწლედების პირმშოა ბალნეოლოგიური კურორტი წყალტუბო, რომელიც დღეს ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. იგი გაიზარდა იმ ადგილზე, სადაც ახლო წარსულში პატარა, მივიწყებული სოფელი იყო. აქ ჩამოსულთ ეზიდავს მონუმენტური, ნათელი და ვრცელი ჯანმრთელობის კერები. ათასობით ადამიანი პოულობს აქ შვებასა და განკურნებას მძიმე ქრონიკული დაავადებებისაგან. თავისებურებითა და სამკურნალო ეფექტის მიხედვით წყალტუბოს რადიოაქტიურ წყლებს, რომლებსაც იყენებენ რევმატიზმის, მოძრაობის ორგანოების დაავადების, პადაგრის, ნერვულ, გულსისხლძარღვების დაავადებათა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს, ტოლი არ მოეპოვება მსოფლიოში.

დამსახურებული სახელით სარგებლობს აგრეთვე კურორტი მენჯი, რომელსაც „საქართველოს მაცესტა“ ეწოდება. ზღვის დონიდან 900 მეტრ სიმაღლეზე თვალწარმტაც ხეობაში მდებარეობს კურორტი საირმე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა აგრეთვე მაღალი მთის კლიმატური კურორტი ბახმარო, კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტები შოვი და ჯავა, ტალახის სამკურნალო კურორტი ახტალა და სხვ.

დიდი გარდაქმნები მოხდა ზღვისპირა კურორტებზე. ერთერთი ყველაზე პოპულარული გახდა გაგრა. მარტო ომისშემდგომ წლებში აქ აშენდა ათობითი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. ახალი ჯანმრთელობის კერები აშენდა ახალ ათონში, გუდაუთაში, მახინჯაურში, ქობულეთში, მწვანე კონცხსა და სხვა კურორტებზე, რომლებიც გაფანტულია შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმიდან ლესელიძემდე. სულ საქართველოში ახლა 54 კურორტია, ბევრი საუცხოო სააგარაკო ადგილია. აქ მუშაობს პროფკავშირთა 69 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი. წელს ისინი მომსახურებას გაუწევენ დაახლოებით 320 ათას კაცს.

საკურორტო საქმის განუხრელი განვითარება რესპუბლიკის მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის საგანია. 1967 წელს საქართველოს პროფკავშირების კურორტთა სამმართველოს საბჭო ჯანმრთელობის კერების მშენებლობაზე, კეთილმოწყობასა და შეკეთებაზე დახარჯავს დაახლოებით 15 მილიონ მანეთს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები გეოლოგებთან ერთად მუშაობენ ახალი მინერალური და კლიმატური რესურსების გამოვლინებაზე. მაგალითად, პროფკავშირების კურორტთა სამმართველოს საბჭო საძიებო და საკაპტაჟო სამუშაოებზე წელს დახარჯავს 750 ათას მანეთს.

ნამდვილი „ჯანმრთელობის კომბინატი“ იქნება ბიჭვინთის კურორტი. აქ აშენდა შვიდი სასტუმრო-პანსიონატი. შორს ზღვიდან ჩანს მათი აჟურული 14-სართულიანი კორპუსები. მშენებლები ითვალისწინებენ დასვენების ეს ახალი დიდი კომპლექსი საექსპლოატაციოდ გადასცენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

შენდება ახალი კორპუსები ახტალისა და სურამის კურორტებზე.

კურორტებისა და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების კოლექტივებმა 1967 წელს იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. მათი დევიზია ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ჩვენი მშრომელი ადამიანები კმაყოფილი იყვნენ მომსახურებით, რომ დასვენება მატებდეს ჯანმრთელობას, ძალღონეს, მხნეობას.

ჩაი ქართული

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში მასობრივად კრეფენ ლაო-ჩაის. ჩაქვის საწვნეხმა ფაბრიკამ საბჭოთა მეურნეობისაგან გადასამუშავებლად მიიღო რამდენიმე ათეული ტონა ნედლეული.

უხეშ ჩაის ფოთოლს, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ლაო-ჩაის, ბუჩქების გასხვლა-ფორმირების დროს ამზადებენ. ლაო-ჩაისაგან მზადდება მწვანე აგური ჩაი, რომელზეც დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

...საინტერესოა ჩაის მცენარის რუსეთში შემოტანის ისტორია. 1638 წელს მეფე ალექსი მიხეილის-ძემ საჩუქრად მიიღო ოთხი ფუთი ჩაი, რუსებს ახალი სასმელი მოეწონათ: „კარგი სასმელია და, როცა შეეჩვევი, გაცილებით გემრიელიაო“. ჩაის პოპულარობა წლითიწლობით მატულობდა.

მეფის მთავრობა უცხოეთის ფირმებისაგან დიდი რაოდენობით ყიდულობდა ჩაის. მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის წინ ყოველწლიურად 75 ათას ტონამდე ჩაი შემოჰქონდათ, რისთვისაც 60-70 მილიონი მანეთი იხარჯებოდა ოქროთი.

ჩაის მოშენება საქართველოსა და რუსეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს სცადეს, მაგრამ წარუმატებლად. შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კერძოდ, ყირიმში, სოხუმსა და გურიაში პატარა ნაკვეთებზე დარგულ ჩაის ბუჩქებს არავითარი სამრეწველო მნიშვნელობა არა ჰქონდა.

პირველი ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩვენს ქვეყანაში 1885 წელს გაშენდა ჩაქვში. შემდეგ რამდენიმე ათეული ჰექტარი პლანტაცია გაშენდა მაშინდელ ჩაქვის საუფლისწულო მა-

ზურაბ გემაზაშვილი

მეფე მგელთავა

ნაწყვეტი მოთხრობიდან

შეყოყმანდა სპასპეტი, მეფეს შეხედა.

— ჰო, — თავი დააქნია მან. მის ხმაში მოუთმენლობა ამოიცნო ჯუანშერმა.

— ეს იცოდე მხოლოდ, — წარბი შეკრა სპასპეტმა და პირდაპირ თვალებში შეხედა ტყვეს, — არას გარგებს, ჯოჯიკის ძევ, სპარსთა ფოლორცი, თუ სიტყვას გადაბალ, იქვე აგკუწავთ ციხის კარებში და ხვალ დილით ყვავ-ყორანთ მივუყრით თქვენს გვამებს.

— თქვენი პირობა? — კითხვა დაუნაცვლა ტყვემ.

— მეფური სიტყვა! — დაახველდრა სპასპეტმა. — გადაარჩიე, ვის წამოიყოლებ, დანარჩენებს უკან გავგზავნით.

ოცივოდე მხედარი გამოჰყო ჯოჯიკის ძემ. სწრაფად მოჰგვარეს ცხენები და თვითონაც შიგ გაერივნენ გადაცმული ქართველი მხედრები. იმატა ყიჟინამ და დგრიალით დაიძრა მოწინავე რაინდთა ბედაურები ციხის მისადგომებისაკენ. ჭენებით აიარეს შუა კარიბჭის ვიწრო გზა. კართან შეტბორდნენ. პირქუშად გამოიყურებოდა ციხის მძიმე კარი.

— ეჰეი, ვინა ხართ? — გადმოჰყივლეს გუშაგებმა.

შორიდან ყრუდ მოაწია მდევრის ხმაურმა. უცებ ჩამოვარდა საზარელი სიჩუმე.

— ვინ ხართ-მეთქი? — გაისმა ხელმეორედ.

— ჯოჯიკის ძე ვარ, ძაღლისშვილებო, გააღეთ კარი! — იღრიალა ციხისთავისძემ. ქონგურებზე აჩოჩქოლდნენ.

კარი შეინძრა, დაიჭრიალა.

— ძმებო, არ გაა... — განწირული ხმით იკივლა ერთ-ერთმა სპარსმა მხედარმა, მუზარადი მოიძრო, მაგრამ ისივლა მატყვის მახვილმა და ზედ კბილებზე გადაუჭრა თავი.

ჭრიალით გაიღო ციხის კარი.

ალიონამდე გასტანა ბრძოლამ. გაჭირდა ციხე-ქალაქის ვიწროებში ომი. ბურბუშელასავით აბრიალებული ციხის გარეთ, ფერდობზე შეხუხულავებულ ქოხმახების ფონზე და რიყრაჯზე ბინდდაკრულ, რძისფერ სინათლეზე დალანდეს სპარსთა მეომრებმა ბუმბერაზი რაინდის მძლე ფიგურა, რომელიც სწორედ იქ მიაგდებდა ხოლმე თავის მუხლმაგარ ჯაფიერს, სადაც ბრძოლა სჭირდა, და უზარმაზარი ხმლის ერთი დაკვრით ჰკვეთდა ვიწრო შუკებში ლამბის ძაფივით გახლართულ სპარს მეციხოვნეთ. ალის შუქზე საზარლად ლაპლაპებდა მგლის დაღრენილი ხახა. მეფის განწყობის მიხედვით თითქოს მისი ზურიდან გადმომზირალი კბილალესილი მგლის სიფათიც იცვლისო იერს, — ეს გაიფიქრა მატყამ. და კიდეც მოესმა მისთვის ასე კარგად ნაცნობი ჩხავილი დამფრთხალი მტრისა:

„დურ აზ გორგაზარ! (შორს, ერიდე მგელთავას! — რედ.)

შიგ ციხეშიც გაჩნდა ცეცხლი. გაბოროტებული სპარსნი ყველაფერს სწვავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ. ლელვთა ხევისა და წყალსადენის მხარეს ადვილად გადაანგრიეს ძველი, დახავსებული კედლები.

მზის სხივებს ჯერ კიდევ ვერ აეკრიფა დილის ცვარ-ნამი, როცა ზედა ციხეში ბრძოლა მიწყდა.

პატიმარშისეულ სასახლეში მძიმედ შეჭურვილი ჰერეთის ერისთავი გრიგოლი ეახლა მეფეს. ეახლა და მოახსენა, ციხე-ქალაქის ღვთის მსახურნი გეწვივნენო.

დიდად მორწმუნე კაცი იყო ახალგაზრდა ერისთავი. სახეზე სპეტაკი იერი ედო სისხლით მოსგრილ რაინდს. გრიგოლს სხვა მარზპანნიც შემოჰყვნენ, და სასახლის ტალავერებში ქრისტიანული ლოცვა-კურთხევა გაისმა.

მეფე წინ შეეგება მოღაღადე მღვდელმთავრებს.

მოულოდნელობისაგან აღტყინებულ მოხუცებს ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ თეთრ წვერულვაშზე. წინ აფოც და იოვანე ეპისკოპოსები მოუძღოდნენ. გვერდით მოსდევდათ ახალგაზრდა, მხარგანიერი, კუნაპეტ ღამესავით შავგვერულვაშიანი იაკობ ხუცესი. ბეჭებზე შემოტმასნილ დაცრეცილ ბერულ ჩოხის ქვეშ ჯანგმოდებული თორი უჩანდა ვაჟკაც მღვდელს. ხშირ-ხშირად ჭუტავდა ვეებერთელა აღგზნებულ თვალებს, რათა სიხარულის ცრემლი უშეშვევ შეეშრო. უკან რამდენიმე მოხუცი მღვდელი და დიაკონი მოსდევდათ. მეფის დანახვაზე, იქვე დარბაზის შესასვლელში აღაპყრეს ხელნი. გულმხურვალედ სწირავდნენ განმგებელს უსჯულოთა დათრგუნვისათვის. „რომელთა გარდააქციენეს სისხლად მდინარენი ჩუენნი და ჴვიმანი ჩუენნი,

რაითა არა გუესუა;

მისცა გესლმა ნაყოფი ჩუენი და ნაშრომი ჩუენი მკალსა;

მოსრა სეტყვითა ვენახები და ლეღუსუელენი თრთვილითა;

საცხოვარი ჩუენი სიკუდილსა შეაყენა,

და განუხეთქეთ აპეურნი მათნი და განვაგდეთ ჩუენგან უღელი მათი,

რამეთუ შენ ღმერთი არა ეგრე ხარ, ვითარმცა გინდა უშჯულოებაი;

არა დაიმკვიდროს შენ თანა უკეთურმან, არცა დადგნენ უშჯულონი წინაშე თუალთა შენთა; მოიძულენ შენ ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი.

ჰმონეთ უფალსა შიშით და უგალობდეთ მას ძრწოლით...“

ცრემლის ღაპაღუპით შესწირა მადლი ქრისტესათვის წამებულ დედოფალს, წმიდა შუშანიკს, რომელმაც „აკურთხა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონახმეველნი მისნი და ყოველი ეზოი და პალატი მისი. და მაცნებად სლვად გზათა ღმრთისადა და ეტყოდა, ვითარმედ „ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყუავილი ველთაი, წარმავალ არს და დაუგრომელ და ვინ სთესა—მოიმკოდა ვინ განაბინა გლახაკთათვის — შეიკრიბა, და რომელმან წარწყმიდოს თავი თვისი, მან პოვოს იგი, რომელმან ადიდა იგი“.

წმიდა შუშანიკის კურთხევამ მოაქცია ჯოჯიკის ძე ნამდვილ ჭკუაზე და იხსნა მისი ოჯახი განსაცდელისგანო, — ღაღადებდნენ ეპისკოპოსნი. ხოლო, მერმე „სრულიად საქართველოს მეფე“ შეავედრეს უფალს მხცოვანმა ეპისკოპოსებმა: „...მოხედე ხმასა ლოცვასა ჩემსა, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რამეთუ შენდამი ვიღოცო, უფალო და შეივედრე სრულად ქართველთა მეფე ვახტანგ პირველი...“

ლოცვა დამთავრდა. ხელზე ეამბორა ეპისკოპოსებს გრიგოლ ერისთავი. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ტანმომცრო აფოც და ბეჭ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 13, 1967 წ.

მულში, კაპრეშუმსა და სალიბაურში. მეჩაიეობას სამრეწველო განვითარება ვერა და ვერ მიეცა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო ჩაის წარმოების ფართო განვითარება. 1921 წელს ჩაქვში შეიქმნა მსხვილი ჩაის მეურნეობა.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა სამეცნიერო ცენტრი — საკავშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ჯერ კიდევ 1930 წელს შეიქმნა. მისი კოლექტივი მეურნეობის პლანტაციებში აწარმოებს საყურადღებო მეცნიერულ ცდებს, რომლებიც შემდეგ ინერგება წარმოებაში.

ინსტიტუტის ფილიალის სელექციის განყოფილების გამგემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა **ქსენია ბახტაძემ** 20-მდე ჰიბრიდული ჯიშის ჩაი გამოიყვანა, რომლებიც გამოირჩევიან უხვმოსავლიანობითა და ყინვაგამძლეობით. ჩაის სელექციური ჯიშები ახლა ფართოდ ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არა მარტო ჩვენთან, არამედ აგრეთვე ვიეტნამში, ავღანეთში, ირანსა და თურქეთში, ახალი ჯიშების ჩაის შეხვედებით აჭარის, აფხაზეთის, დასავლეთ საქართველოს ბევრი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

წლითიწლობით დიდდება ჩაის ფართობი, იზრდება მისი ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ახლა მარტო ბათუმისა და ქობულეთის რაიონში ჩაის 7.130 ჰექტარი უკავია. შარშან აჭარაში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს 5.616 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1921 წლის 430 კილოგრამისა.

ქართველი მეჩაიეები სულ უფრო მეტ ჩაის აძლევენ სამშობლოს.

ბ. გურგენიძე.



სურათზე: ზაფხული ლიახვის პირას.

ივერიის 22 სართული

მალე თბილისში საექსპლოატაციოდ გადაეცემა სასტუმრო „ივერია“.

ჩვენი კორესპონდენტი იყო სასტუმროს მშენებლობაზე. აქ ახლა გაჩაღებულია მოსაპირკეთებელი სამუშაოები. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სასტუმროს შენობა მოპირკეთდება თეძამის ფერადი ტუფით. სასტუმროს დაპირდება ხუთი ათასი კვადრატული მეტრი ტუფი. ვესტიბიული დაიფარება მარმარილოთი, ინტერიერები მოხატული იქნება ეროვნული სტილით.

300 კომფორტული ნომერი, რომლებშიც დაიდგმება სპეციალურად „ივერიისათვის“ დამზადებული ავეჯი, მოელის სტუმრებს. ჩქარელი ლიფტები რამდენიმე წამში აიყვანენ მათ უკანასკნელ სართულზე, სადაც იქნება აუზი და აერარიუმი. აქედან გადაიშლება თბილისის დიდებული პანორამა.

სასტუმროს საერთო ანსამბლში შევა ხუთსართულიანი კაფე-რესტორანი, რომელიც სასტუმროს შეუერთდება გადასასვლელით.

აღქირში — ბაზრობაზე

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ალჟირში გაიხსნება საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.

საქართველო სსრ კავშირის პავილიონში წარმოდგენილია დამოუკიდებელ განყოფილებად. სახალხო მოხმარების საქონლის სხვა ნიმუშებთან ერთად აქ ნაჩვენები იქნება ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელიც შეიმუშავა თბილისის საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. „შელონი“ ახალი აბრეშუმის ელასტიკური მოცულობითი ძაფია, რომელიც შექმნილია რუსთავში გამოშვებული ქიმიური ბოჭკოსაგან. „შელონს“ ფართოდ იყენებენ ტრიკოტაჟის გამომუშავების დროს. ამ ძაფის ქსოვილს დიდი სიმკვიდრე აქვს და ჰიგიენურია.

წულუკიძის აბრეშუმსახვევ-საძახავ ფაბრიკაში ქიმიური ბოჭკოსაგან ამზადებენ აცეტატ-კაპრონის ძაფს „აკონს“. ამ ძაფისაგან ინსტიტუტისა და თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მემოდელეებმა შექმნეს ჟაკარდის ტილო, რომლის გარეგნული სახე არ განსხვავდება მერინოსისაგან. ინსტიტუტში შეიმუშავეს კიდევ ერთი ახალი სახეობის ტრიკოტაჟი — „მერონი“, რომელიც აგრეთვე წარმატებით უწევს კონკურენციას შალისას.

შეკერილი ნიმუშები — შალის კაბები, კოსტუმები, ბლუზები, მამაკაცის პერანგები, შარვლები — შესრულებულია მსოფლიო სტანდარტების დონეზე და შეესაბამება თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნებს. ინსტიტუტის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით მათ მაღალი შეფასება დაიმსახურეს და რეკომენდებული არიან ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე ექსპონირებისათვის.

აკუზული იოვანე, ზედ აფოფხდებოდნენ გოლიათ რაინდ მეფეს, ეწადათ აკანკალებული ტუჩებით შეხებოდნენ მგელთავა მეფის მაღალ შუბლს.

ქვირის თავზე, გამარჯვების აღსანიშნავად ნადირობა ბრძანა მეფემ. უფრო კი შემოგარენის დათვალიერებას აპირებდა ჯუანშერ სპასპეტთან ერთად. წინადღით მცხეთიდან ჩამოაყვანინა ქორ-მეძებრები და თავისი რჩეული მიმინო, რომლის წრთვნადაგეშას თვითვე ადევნებდა თვალს ჯერ კიდევ უჯარმაში. მთელი ეს დრო მოუსვენრად იყო გორგასალი, ცხენიდან არც ჩამოსულა, არ შეუსვენია. კუთხე-კუნჭულამდე დათვალიერა ციხე-ქალაქი. რამდენჯერმე ჩავიდა საქარავნო გზაზე. ფიქრით დამძიმებული თვალით ზომავდა მტკვრის გაღმა აყუდებულ პიტალო კლდეს, მოსახვევის ვიწროებში მოქცეულ აქაფებულ მდინარეს.

„ციხე ქალაქი სწორედ ამ უდიდეს და უძველეს სავაჭრო გზებზე დგას, მდინარის პირას, — წყლის დიდ სავაჭრო გზაზედაც. ადვილად ჩასაკეტია მისი მისადგომები, მისი მთებითა და მტკვრის მაღალკლდოვანი ნაპირებით. ამ ადგილმდებარეობის მფლობელს ძალი შესწევს თვალყური ადევნოს მთელ მიმოსვლას. საეჭვო შემთხვევაში ჩაჰკეტოს იგი, თუ კი დიდ ვაჭართა გემებისა და ქარავანთა ნაცვლად, უცხო დამპყრობთა ურდოები მოეძალებიან. ასე რომ ციხე მცხეთის მისადგომებს იცავს, სატახტო ქალაქისას, ამიტომ არის, რომ „ციხედ მცხეთისად“ იხსენიება. უცხონიც სჯერდებიან მხოლოდ მის დაპყრობას და აღარც მიელტვიან მცხეთისაკენ, დედაქალაქისაკენ... ქართლის გულისაკენ... თითქოს საქართველოს გული უკვე ხელთ ჰქონდეთ ჩაგდებული, რაკი ამ კლდოვან სიმაგრეში ჩააყენებენ თავის მეციხოვნეთ. ეს ჰყოფნით“.

ახლა კი სიამოვნებდა ომის ყიჟინით, ხმალ-აბჯრის ჭრიალითა და დაჭრილთა კვნესა-ვაებით ყურმობეზრებულ მეფეს ფრინველთა ჭივილ-ხივილი, ტყიურთა ხმიანობა და მოუთმენლობისაგან ხმაგაწვრილებულ მწევართა წკმუტუნ-წკავწკავი. პირუტყვთ ძლივს აკავებდნენ ბაზიერნი, საყელურებისაგან კისერდაძაგრული ვეებერთელა ძაღლები წინა თათებით ფხოჭნიდნენ მიწას.

— მიუშვით!

მისი რჩეული მიამაი და ნადირა პირდაპირ ზედ შეახტნენ ცხენზე მჯდომ მეფეს. წკმუტუნებდნენ, ზედ ეტოტებოდნენ, ფრუტუნებდა ბედაური, გამწყრალი ტორსა სცემდა მიწას.

— აი, შე ნადირავ, აი, შე ჭკვიანო... ჰო, ჰო, მიამაი...

ხმადაბლა უტატანებდა ვახტანგი ძაღლებს, იმ სიმაღლეზე ატოტებულებს თავზე უცაცუნებდა ხელს. ჯუანშერი და არტავაზი ატყობდნენ, რომ ნადირობის ეშხში ძველებურად შედიოდა მეფე. ისიც იცოდა გორგასლის დიდმა ეჯიბმა ჯუანშერ სპასპეტმა, ამ დროს განმარტოება რომ უყვარდა ხოლმე მეფეს და ცდილობდა შეუმჩნევლად ჩამოეტოვებინა ამალა, ახლო-მახლო მიეპყოლოდნენ.

მეფემ მარცხნივ მიაბრუნა ცხენი, ხვევრდივით აბიბინებული, მწვანე მოლი გადაიარა და ღიჭიბარდებით გაბმულ უსიერს მისცა თავი. ქვემოდან ძლივს, ყრუდ აღწევდა ხევის ხმაური, ძაღლებმა ყეფანარევი წკავწკავი ატეხეს, ეტყობოდა კვალს მიაგნეს. ეკალ-ბარკებით გაპენტილი მიამაი მობრუნდა, გული დააჯერა, რომ პატრონი აქ იყო და ისევ ბარდებს მიაშურა. ტყის ვიწრო ზოლი მოთავდა და მეფე ისევ ვაკე მინდორზე გავიდა. ტყის შუა ვიწრო ზოლად გაჭიმული ეს მყუდრო მინდორი სპარსებს სასაფლაოდ ექციათ. შუაში, ბორცვივით შემაღლებულზე, თაღებიანი „ბორჯი ხამუშის“ (დუმილის კოშკი — რედ.) ნანგრევები მოჩანდა. ვახტანგმა იქ შეაჩერა ცხენი და ჩამოქვეითდა. ნებაზე მიუშვა ბედაური. აბჯრის ხმაურზე ფრთების ზანტი ფათქუნით ამოფრინდა კოშკიდან ღაშ ხორი (წმიდა ფრინველი. — რედ.). ბრჭყალში კაცის წვივის ძვალი ეჭირა „წმინდა ფრინველს“, გაბრტყვნილი, საძაგელი კისერი მოიქცია სვავმა მისკენ, ავად შეავლო ჩასისხლიანებული თვალები და მაღლა აიწია, შემდეგ გასწორდა და ქვევით მტკვრის რიყისაკენ აიღო გეზი.

ვახტანგმა კეხლის ძირას გრილოში ჩაიმუხლა. ირგვლივ სამარხთათვის ჩვეული დუმილი გამეფებულიყო. მხოლოდ გამხმარი ბუერას ფოთლები მცირე ნიავზე არღვევდნენ სამარეთა სიჩუმეს. ვახტანგმა თვალი მოავლო არე-მარეს. კაცს ასე ეგონებოდა, სამარეების თავში თავდაყირა ჩაუსვამთო ჯიგრისფერი ბრტყელი ლოდები. თითქოს გასაქცევად გამზადებულიყვნენ წვანებული საფლავის ქვები.

— „ყოველ ლოდსაქვეშე კაცის ძვლები აწყვია...“

ბუერის ხმელი ფოთლების ფხაკუნს აჰყვა მკაწრავი ფიქრი.

(გაგრძელება იქნება).

ნოჭრიდან ნოჭურში

სპორტული მიმოხილვა

△ ქართველ სპორტსმენთა წარმატება △ ცვლილებები სატურნირო ცხრილში △ საქართველოს პირველობა ფეხბურთში.

●

სპარტაკიადა. როგორც უკვე ვიუწყებოდით მოსკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, 28 ივლისს კი მოხდა მისი საზეიმო გახსნა. ეს იყო ამ გრანდიოზული შეჯიბრების ოფიციალური ცერემონიალი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.

განვლილ ეტაპზე უკვე ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის ისეთ სახეობებში როგორიც არის, კალათბურთი, ფრენბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ტანვარჯიში, საცხენოსნო სპორტი, აფროსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ჩოგბურთი, საველოსიპედო რბოლები.

საქართველოს გუნდს ჯერ კიდევ სპარტაკიადის დაწყებამდე თვლიდნენ ერთ-ერთ ფავორიტად. შეჯიბრებების პირველ დღეებვე დამტკიცეს ქართველმა სპორტსმენებმა ამ აზრის სისწორე. ჩვენი მკითხველები უკვე რომ გაეცნენ სპარტაკიადის შედეგებში, საჭიროა განვმარტოთ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ქულების გამოანგარიშების პრინციპი.

პრინციპი უბრალოა. პირველი გუნდური ადგილი სპორტის ყოველ სახეობაში 17 ქულას იძლევა, მეორე — 16-ს, უკანასკნელი — 1 ქულას. მხოლოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რამდენიმე სახეობაში მათი სირთულის გამო, ქულათა ორჯერ მეტი რაოდენობა იწერება. ასეთებია: მძლეოსნობა, ცურვა და ტანვარჯიში. აქ პირველი ადგილი 34 ქულას იძლევა, ვოლეიბოლში კი, როგორც ყველაზე რთულსა და ყველაზე მასშტაბურ შეჯიბრებაში, პირველი გუნდური ადგილი 51 ქულით ფასდება.

ჩოგბურთში. საქართველოს გუნდი სპარტაკიადისათვის კარგად მოემზადა. მის შემადგენლობაში შედიან: საქვეყნოდ ცნობილი ალექსანდრე მეტრეველი, საქართველოს ჩემპიონი თემურაზ კაკულია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის არაერთგზის პრიზიორი, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი რენა აბჟანდაძე და სხვები. პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად ოთხ კოლექტივს შორის, მოსკოვის, ესტონეთის, უკრაინისა და საქართველოს გუნდებს შორის გაიმართა. ამ დაძაბულ ბრძოლაში ჩვენმა გუნდმა მეორე სპრიზო ადგილი დაიკავა.

ცალკეული სახეობების მიხედვით მსჯელობა შორს წაგვიყვანს. სპორტის მრავალ სახეობებში ისახელეს თავი ქართველმა სპორტსმენებმა. 29 ივლისისათვის, 12 სახეობის შემდეგ საერთო გუნდური ადგილები შემდეგნაირად ნაწილდება: პირველ ადგილზეა მოსკოვის გუნდი, შემდეგ მოდიან: უკრაინა, რსფსრ, ლენინგრადი და საქართველო. ველოსპორტის, ჭიდაობისა და ჭადრაკის დამთავრების შემდეგ ჩვენმა გუნდმა, სპეციალისტების აზრით, მეოთხე ადგილზე უნდა გადაინაცვლოს.

ფეხბურთში. ივლისში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მატჩი საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა ფეხბურთელებმა იოლად სძლიეს მოწინააღმდეგეს ანგარიშით 4:1. თბილისელთაგან ნაკრებში თამაშობდა მ. ხურცილავა.

ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. როგორი შედეგებით მიუახლოვდნენ თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“ სეზონის ნახევარს? თბილისელებს მოსკოვის „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ მტკიცედ ეჭირათ მესამე ადგილი, მაგრამ მოსკოვის „სპარტაკთან“ წარუმატებლობა განიცადეს და ჯერჯერობით მიხუთე ადგილზე გადაინაცვლეს. გუნდი სპრძოლო განწყობაშია, უნდა ვივარაუდოთ, რომ კვლავ სპრიზო ადგილზე ვიხილავთ.

კვლავ ფეხბურთში. გრძელდება საქართველოს პირველობა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გუნდებს შორის ფეხბურთში. გუნდები ორ ჯგუფად და ქვეჯგუფებად არიან დაყოფილი. პირველი ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში 22 გუნდი თამაშობს. ივლისის ბოლოსათვის ამ გუნდებმა 24-24 მატჩი ითამაშეს. ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 34 ქულა, „ტურანი“ (ყვარელი) — 34 ქულა, „კოლმეურნე“ (ფალენჯიხა) 32 ქულა.

პირველი ჯგუფის მეორე ქვეჯგუფში შეჯიბრება ორ ზონად მიმდინარეობს. ზონების მიხედვით სატურნირო ცხრილებში ივლისის ბოლოსათვის გუნდები შემდეგნაირად არიან განლაგებული:

I ზონა:

„მშენებელი“ (სიღნაღი) — 27 ქულა,
„ნაღიკვარი“ (თელავი) — 20 ქულა,
„კოლმეურნე“ (მარნეული) — 20 ქულა.

II ზონა:

„სულორი“ (განი) — 29 ქულა, „ჩიხურა“ (საჩხერე) — 22 ქულა, „დინამო“ (ოზურგეთი) — 21 ქულა.

ქართული ენდემიკები

თბილისის ბოტანიკური ბაღის მეცნიერებში ჩაფლულა აგურის ლამაზი შენობა. ახლა იგი ხარაჩოებშია — აფართოებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტს.

ინსტიტუტის ერთ-ერთ კორპუსში მოთავსებულია ჰერბარიუმი. აქ შეგროვებულია მცენარეთა უმდიდრესი კოლექცია, რომელიც განლაგებულია ბოტანიკური კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სისტემის მეოხებით შეიძლება ცალკეულ მომენტში ვიპოვოთ თითოეული ფურცელი 300 ათასზე მეტი ჰერბარიუმის ფურცლიდან.

კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ენდემიკებს. მცენარეებს, რომლებიც მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაში იზრდება. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის ტყეებში შემონახულია რელიქტური ხეები, რომლებმაც თავიანთ თანამოძმეებს გადაეჭარბეს ათასწლეულებით. ეს არის ქართული ილმი და სახოკიას მსხალი, რომლებიც აღწერა ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა მ. თ. სახოკიამ.

აქ არის მთებში იზრდება მედვედევის თეთრკანიანი არყის ხე, რომელსაც ასე უწოდეს ცნობილი მეტყევის პატივსაცემად. მეგრული არყის ხის ადგილსამყოფელია დასავლეთ საქართველოს ციცაბო კირქვიანი ფერდობები.

პიასტის ნამუხლარზე

ასმ ეწოდება სამამულო ომის გენერლის ალექსანდრე კალანდაძის დოკუმენტურ რომანს, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა და პოლონელი პარტიზანების ბრძოლაზე გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ პოლონეთში.

უთანასწორო ბრძოლები მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ, დაჭრა, ტყვეობა, სიკვდილის ბანაკი — აი გამარჯვების გზა, რომელიც განვლეს ა. კალანდაძის რომანის გმირებმა. მაგრამ მეომრები არ ნებდებოდნენ. ათასობით მათგანი გმირულად იბრძოდა ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ავტორი მოგვითხრობს პარტიზანი მეომრების — რუსების, უკრაინელების, ქართველების, პოლონელების გმირობაზე. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ იმ პარტიზანული რაზმების მებრძოლი ქართველები, რომლებსაც მეთაურობდნენ თვედორე ალბრეხტი, იან გოლოდა, იაკობ სარნიკოვი, ბოლესლავ ბაკულა და სხვები. სიყვარულით მოგვითხრობს იგი უფროსი ლეიტენანტების გიორგი ღადაშვილის, ვალერიან გეგეძის, ოცეულის მეთაურის ნიკოლოზ აკულაშვილის და სხვათა მამაცობასა და ვაჟკაცობაზე.

წიგნში გაშუქებულია აგრეთვე ომის პერიოდის პოლონეთისა და გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

„პიასტის ნამუხლარზე“ ქართულ ენაზე გამოშვება გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“.

მხატვრის ღიმილი



— ამ კაცს რა მიარბენინებს დარბაზიდან?
— იმ მსახიობი ქალის ჭმარი გახლავთ...

ნახ. ი. კობიძისა.

სტუმრად იაპონიაში

ამ დღეებში იაპონიიდან თბილისს დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თ. დავითაია. ცოდნის სხვადასხვა დარგის საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის შემადგენლობაში იგი ათ დღეს იყო საზოგადოება „იაპონია-სსრ კავშირის“ სტუმარი.

„იაპონია-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოება, — უამბო გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს თ. დავითაიამ, — აერთიანებს 10 ათასზე მეტ იაპონელს — მეცნიერებს, ინჟინრებს, მუშებს, მოსამსახურეებს, გლეხებსა და სტუდენტებს. იაპონიისა და სსრ კავშირის მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის განმტკიცების მომხრეებმა თავიანთ სამშობლოში გახსნეს საშუალო სკოლა, სადაც სწავლა რუსულ ენაზეა. ამ სკოლაში სწავლობს 600 იაპონელი ბავშვი.

იაპონიაში ყოფნის დროს მონაწილეობა მივიღეთ „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ოსაკის განყოფილების წევრთა საიუბილეო ყრილობის მუშაობაში. ჩვენი მეგობრების ეს ფორუმი მოეწყო „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების შექმნის ათი წლისთავის აღსანიშნავად.

ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები იაპონიაში გაეცნენ უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საშუალო სკოლების, საავადმყოფოების, მუზეუმებისა და საწარმოების მუშაობას.

მე დამაინტერესა, კერძოდ, — თქვა თ. დავითაიამ, — ჩაის მოყვანის ხერხებმა, რომლებსაც იაპონიაში იყენებენ.

მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეულის მისაღებად პლანტაციების ნაწილს იაპონიაში ზაფხულის ცხელ თვეებში ახურავენ სპეციალურ მატებს. მეცნიერები ფიქრობენ, რომ გაფანტული სინათლის დროს გამოსული ჩაის ყლორტები განსაკუთრებით ნაზ ფოთოლს იძლევა. ამ ფოთლებიდან იღებენ უჩვეულოდ არომატულ ბაიხაო ჩაის.

ტოკიოში, ოსაკაში, კიოტოსა და იაპონიის სხვა ქალაქებში საბჭოთა სპეციალისტებმა წაიკითხეს მოხსენებები გეოგრაფიის, გეოლოგიის, მედიცინის, სსრ კავშირის ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებზე.

თ. დავითაიას მოხსენებები მიეძღვნა ბუნების შეცვლის პრობლემებს, სსრ კავშირში სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებას.

გამოსცემს საქართველოს სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისაქმაური

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.